საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესარიონ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის №014/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 19 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, პირველად ადვოკატ თ. ფ.-ს 2014 წელს შრომით დავაზე დახმარების მიზნით მიმართა. საკითხი ეხებოდა შრომით დავას - შპს ,,ჯ. მ.-ში'' სამუშაო ადგილზე აღდგენას. საჩივრის ავტორმა მომსახურების საფასურის სახით უნაღდო ანგარიშსწორების გზით 2014 წლის 17 ოქტომბერს ადვოკატ თ. ფ.-ს 300 (სამასი) ლარი გადასცა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და უკანონოდ

მიითვისა გადაცემული თანხა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ მას 7 წლის განმავლობაში პრეტენზია არ დაუყენებია, რადგან არ ფლობდა ინფორმაციას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის არსებობის შესახებ.

1.4 2021 წლის 08 თებერვალს საჩივრის ავტორმა სხვა საქმეზე წარმომადგენლობისთვის ადვოკატ თ. ფ.-ს გაუფორმა ნოტარიული წესით დამოწმებული მონდობილობა. დავა ეხებოდა თანხის დაკისრებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის სატელეფონო საუბრის მეშვეობით ადვოკატ თ. ფ.-ს შეუთანხმა მინდობილობის გაცემაზე და აღნიშნული დოკუმენტი ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2014 წელს ადვოკატისთვის სხვა საქმეზე გადახდილი მომსახურების საფასურის სანაცვლოდ ადვოკატი თ. ფ. მას იგივე თანხის ფარგლებში გაუწევდა მომსახურებას.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, სატელეფონო საუბრებისას ადვოკატი უხეშად მიმართავდა მას და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხოლო ადვოკატის სამუშაო ოფისში მას რამდენჯერმე ფიზიკურად გაუსწორდა ადვოკატი თ. ფ..

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ფ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის სტანდარტი, ითხოვს ადვოკატისათვის გადახდილი თანხისა და გადაცემული დოკუმენტაციების უკან დაბრუნებასა და ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ფ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 05 აგვისტოს, სადაც განმარტა, რომ ნ. გ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატი ადასტურებს 2014 წელს საკუთარ საბანკო ანგარიშზე ნ. გ.-ის მიერ 300 ლარის ჩარიცხვის ფაქტს, რომლის მიხედვითაც გაწეულ იქნა შესაბამისი საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განმარტებით, გაწეულ მომსახურებაზე საჩივრის ავტორს 2021 წლის თებერვლამდე პრეტენზია არ განუცხადებია.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მისთვის 2021 წლის მარტში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თანამშრომლისაგან ცნობილი გახდა, რომ ნ. გ.-მ მის სახელზე გაცემული მინდობილობა წარუდგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. ნ. გ.-ს მინდობილობის გაცემის საკითხი მასთან არ შეუთანხმებია.

2.4 ადვოკატის განმარტებით, იგი საჩივრის ავტორს არ შეთანხმებია ახალ საქმეზე მომსახურების გაწევაზე, არ მიუღია მისგან საქმის მასალები, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (მინდობილობა) და საადვოკატო მომსახურების საფასური.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მხარეთა შორის არ დადებულა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება და მას არც საჩივრის ავტორი წარმოუდგენია სააპელაციო

სასამართლოში გამართულ პროცესზე. ამის გამო ნ. გ. განაწყენდა და მას აყენებდა შეურაცხყოფას სატელეფონო საუბრისას თუ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიის მხრიდან მისთვის საჩივრის ჩაბარების შემდეგ მიმართა ზესტაფონში მოქმედ ნოტარიუსს და ამ გზით გასაცნობად მიიღო ნ. გ.-ის მინდობილობა. თ. ფ.-მ გაარკვია, რომ ნ. გ.-ს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მომსახურებას სხვა ადვოკატი უწევდა, რომელმაც მოამზადა სარჩელი და შეიტანა სააპელაციო საჩივარიც. ვინაიდან, აღნიშნული ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საქმიანობს, მან ვეღარ გააგრძელა ნ. გ.-ის მომსახურება სააპელაციო წესით. ამ მიზნით საჩივრის ავტორმა 2014 წელს ადვოკატ თ. ფ.-ის სახელზე ჩარიცხული თანხის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე გადაწყვიტა შანტაჟის გზით სააპელაციო წარმოებაში ადვოკატი თ. ფ. ჩაერთო და თვითნებურად გასცა მის სახელზე მინდობილობა ადვოკატთან შეთანხმების გარეშე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ფ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი № /, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 19 მარტს.

3.3 სადავო ქმედებათა ნაწილი განხორციელდა 2014 წელს და არ ატარებდა განგრძობად ხასიათს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (04.05.2018 №2266) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდება, თუ მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მიმართვამდე გასულია 5 წელი.” საჩივარში მითითებული ადვოკატის სადაოდ გამხდარი ქცევის თარიღისათვის კანონის მოქმედი რედაქციის (17.11.2009 N2040) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 (ხუთი) წელი. შესაბამისად, ეთიკის კომისია არ იმსჯელებს ადვოკატის იმ ქმედებაზე, რომელიც განხორციელდა 2014 წელს. ხოლო სადავო ქმედებათა ნაწილის მიმართ, , რომელიც 2021 წელს განხორციელდა, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ იმ ქმედებათა შესახებ, რომელიც 2014 წელს განხორციელდა, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხოლო იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც 2021 წელს განხორციელდა, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომელიც ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ეთიკურ ვალდებულებას ეხება.

5.2 საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზია ეხება ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ 2014 წელს განხორციელებულ ქმედებას - შპს ,,ჯ. მ-თან'' შრომით დავაში იურიდიული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ მომსახურების საფასურის სახით 2014 წლის 17 ოქტომბერს 300 (სამასი) ლარის გადაცემას. მომჩივანის აღნიშნულ პრეტენზიაზე ვრცელდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის (17.11.2009 N2040) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენდა, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 (ხუთი) წელი. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა." რადგან ადვოკატის სადავოდ გამხდარი ქცევიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, ნ. გ.-ის პრეტენზია გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ხანდაზმულია და ამ საფუძვლით ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ ასევე შეაფასა ადვოკატის მორიგი პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა თ. ფ.-მ სათანადოდ არ დაიცვა კლიენტის უფლებები და ინტერესები.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.4.1 ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა).

5.4.2 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატი შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპით, რაც იცავს კლიენტს ადვოკატის მიერ მისი უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. კლიენტს ხშირ შემთხვევაში არ აქვს უნარი დამოუკიდებლად გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო ადვოკატმა სამართლებრივი განათლებით, უნარ-ჩვევებით უნდა უზრუნველყოს კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა.

5.6 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია

(სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N089/17 გადაწყვეტილება, პარ. 6.3.8).

5.7 ,,ადვოკატის ვალდებულებაა განახორციელოს შესაბამისი და კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8).

5.8 საჩივრის ავტორის პრეტენზია შეეხება 2021 წელს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედების ფაქტს, შესაბამისად, საკითხის გარკვევის მიზნით საპროცესო კოლეგიამ შეაფასა 2021 წელს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და მიიჩნია, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ნუგზარ გორგაძესა და თეიმურაზ ფერაძეს შორის არ წარმოშობილა კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა. ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობები იწყება ურთიერთშეთანხმებით, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი შეთანხმების ფორმით.

5.9 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის 2014 წელს წარმოშობილი ურთიერთობა დასრულებულია - ადვოკატმა გაუწია მომსახურება კლიენტს კონკრეტულ საქმეზე, რაზეც კლიენტმა გადაუხადა მომსახურების საფასური. ადვოკატ-კლიენტს შორის 2014 წელს არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ამოწურულია და ადვოკატს არ აქვს ვალდებულება მომსახურება გაუწიოს ყოფილ კლიენტს ახალი სამართლებრივი ურთიერთობის გამო. ვინაიდან, ადვოკატ თეიმურაზ ფერაძის განმარტებით, მას არ ჰქონდა გამოხატული სურვილი კონკრეტული პიროვნებისთვის გაეწია იურიდიული მომსახურება, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მას ჰქონდა უფლება უარი ეთქვა აღნიშნულზე. ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხოლო სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია აირჩიოს როგორც კონტრაჰენტი, ისე განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი. შესაბამისად, ადვოკატის იძულება, განახორციელოს გარკვეული ქმედება, გარდა კანონით და პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა,

დაუშვებელია. სწორედ ამიტომ მოცემულ შემთხვევაში მინდობილობა ვერ ჩაითვლება საკმარის საფუძვლად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დასამტკიცებლად, მით უმეტეს მაშინ როდესაც ადვოკატი უარყოფს და სადავოდ ხდის მხარეთა შეთანხმების არსებობას მინდობილობის გასაფორმებლად. მინდობილობის გაცემისას სამართლებრივი შედეგი დგება ცალმხრივი ნების გამოვლენით - კლიენტისთვის საკმარისია მხოლოდ ადვოკატის პირადი ნომრის ცოდნა და მას აქვს შესაძლებლოა ამ ადვოკატის სახელზე გასცეს მინდობილობა.

5.10 ვინაიდან, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტის არსებობის შემთხვევაშიც, კომისიამ შეაფასა რამდენად წარმოადგენდა ნ. გ. პოტენციურ კლიენტს. ნ. გ.-ს არ გაუცნია ადვოკატისთვის ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატს არ მიუღია საქმის მასალები, არ გაუწევია საჩივრის ავტორისთვის სამართლებრივი კონსულტაცია, პირველ ინსტანციაში საჩივრის ავტორს სხვა ადვოკატი წარმოადგენდა და სააპელაციო საჩივარიც ამ უკანასკნელის შეტანილი იყო, შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-სთვის სრულიად უცნობი იყო საჩივრის ავტორის მიმდინარე საქმე.

5.11 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის'' 8.1 მუხლის საფუძველზე, ვარაუდის სტანდარტით ნ. გ.-სა და თ. ფ.-ს შორის არ წარმოშობილა კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა. საპროცესო კოლეგიამ ვერ დაადგინა სამართლებრივ ურთიერთობის არსებობა მხარეთა შორის, შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს იმ ქმედებას, რომლის დაკავშირებითაც დავობს საჩივრის ავტორი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ავტორის შემდეგი პრეტენზია: ადვოკატმა თ. ფ. მას სატელეფონო საუბრისას სიტყვიერი, ხოლო სამუშაო ოფისში - ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა,

5.13 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ)

5.14 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მსგავს სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება.

5.15 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.16 ეთიკის კომისია ადვოკატის მიმართ არსებულ პრეტენზიებს იკვლევს ადვოკატთა შესახებ კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები ასევე მჭიდრო კავშირშია მორალური და ზნეობრივი ქცევის წესებთან, ვინაიდან ადვოკატის ამორალური და არაზნეობრივი საქციელი შესაძლებელია გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია გამომდინარეობს პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებიდან, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილე პირის, მათ შორის მისი კლიენტის უფლებები, გამოიჩინოს პატივისცემა და საკუთარი აზრის გამოხატვისას იყოს კორექტული.

5.17 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №---, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

5.18 ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას მხარეები თავად იღებენ ფაქტების გადმოცემის, მათი დამტკიცებისა და დასაბუთების რისკს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ნუგზარ გორგაძეს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატის ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მტკიცებულებები.

5.19 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ მისთვის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად, არ დგინდება ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპის დარღვევა.

5.20 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მხრიდან არ დასტურდება პროფესიული სტანდარტების დარღვევა.

5.21 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №014/21 ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/